ბიბლიოთეკა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 68 (20109) სამშაბათი, 22 მარტი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სურათზე: კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის მონაწილე საქართველოს სსრ დელეგაცია მოსკოვში, წითელ მოედანზე.

საკლებ-საქინფორმის ტელეფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია

გარდაქმნა საერთო საქმეა

ჭეშმარიტი გულშემატკივრობით

რამდენიმე თვეა დარჩა XIX საკავშირო პარტკონფერენციის დაწყებამდე, რომელიც შეაჯამებს სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ გარდაქმნის მხრივ გაწეულ მუშაობას. სასიკეთო ძვრები და შედეგები მართლაც არის, მაგრამ ნაკლოვანებებიც ძალზე ბევრია. გულახდილად რომ ვთქვა, ჯერჯერობით გარდაქმნაზე უფრო მეტს ელაპარაკობთ, ვიდრე ვმოქმედებთ.

ჩემს მშობლიურ საწარმოშიც ამ ბოლო ხანს ბევრი რამ გაკეთდა, ყველა უბანზე იგრძნობა სიახლეები, მაგრამ დაჩქარების ტემპით მე პირადად მაინე უკმაყოფილო ვარ. საერთო საქმეში კოლექტივის ყველა წევრი თანაბრად არ აქტიურობს. ეს უფროსებსაც ეხებათ და ხელქვეითებსაც.

ჩვენთან ერთ-ერთი მთავარი სიახლე ის არის, რომ ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადავედით. წინათ, როცა ერთ ცვლაში ვმუშაობდით, გეგმებს რიტმულად ვერ ვასრულებდით, საწარმოო ფართობი არ გვყოფნიდა. მანქანა-დანადგარები სულ უნდა მუშაობდეს, უქმად დგომით ტანჯი კი არ უნდა ედგეთდეს, და, ვიდრე „მწყობრშია", უფრო მეტ პროდუქციას უნდა გვაძლევდეს.

ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, სულ 12 შესაფუღებელი აპარატი აქვს. გვჭირდება კი სულ ცოტა ოვრამეტი. ამის გამო ძალიან ხშირად ვიდებოდით. ორცვლიანმა მუშაობამ ეს პრობლემაც მოხსნა და სპეციალისტთა მომზადებისა და რეზერვის შექმნის საშუალებაც მოგვცა.

მუშაობის ინტენსიური მეთოდებისა და გარეკნის პროგრესული ფორმების დანერგვა მართლაც საკეთილდ წაადგა საქმეს, მაგრამ, იმის გამო, რომ ყველგან და ყოველთვის ჯეროვნად არ იგრძნობა გარდაქმნა, ნელა ისევეება საშეურნეო მექანიზმი, მუდამ ვერ გვაძლევს სასურველ საბოლოო შედეგს.

აი, თუნდაც, ერთი ასეთი მაგალითი: საწარმოში დაინერგა შრომის ანაზღაურების ახალი მეთოდი, გარჯა შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის ფასდება. შედეგი კი სასურველი არ არის, რადგან ძალიან გვაფერხებს მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაწილებით ურიტმო მომარაგება.

მე ასე მწამს: გარდაქმნა უწინარესად იმასაც ნიშნავს, რომ ყოველი მუშაკი ჭეშმარიტად გულშემატკივრობდეს საქმეს (გარდაქმნა ხომ თითოეულისა და ყველას საერთო საზრუნავია) და სისხლხორცეულად იყოს დაინტერესებული საბოლოო შედეგით, უნაკლოდ ასრულებდეს სამუშაოს. სინამდვილეში კი ხშირად, აი, რა გამოდის: ჩვენთან დამონტაჟებული ლითონნის პლაზმური ჭრის დანადგარი ათასობით მანეთი დაჯდა. პირველ ხანს ძალიან გაკიხარეთ, დანადგარი დიდმწარმოებლურია, ზუსტად ჭრის დეტალებს და შედეგები ხარისხსაც ამაღლებს. მაგრამ მესამე წელია დანადგარი ალარ მუშაობს. ამის გამო ისევ ხელით ჭრიან ფურცლებს, რაც მეტისმეტად შრომატევადია. სასურველი შედეგი ვერც პროგრამული მართვის ჩარხების დამონტაჟებამ მოგვცა, რადგან ხშირად გაფუჭებულია. რა ფასი აქვს ისეთ ტექნიკას, რომელიც კონკრეტულ უკუგებას არ მოგვცემს?

ერთი რამ აშკარაა. ისეთ დიდ საქმეში, როგორიც გარდაქმნა და დაჩქარებაა, წარმატებას ვერ მივაღწევთ, თუ მთელი კოლექტივი ერთი მიზნით არ განმსჭვალა, მისი ყოველი წევრი ერთმანეთს აქტიურად არ ამოუდგა მხარში. ამისთვის კი საჭიროა კოლექტივის ყოველ წევრს შევაგებინოთ გარდაქმნის მიმდინარე ეტაპის სინრთულეებიც და მნიშვნელობაც.

დიდ საქმეს სიძნელეებიც ახლავს. ერთ მაგალითს კიდევ მოვიყვან. ქარხნისთვის აშენდა ახალი კორპუსები. სამინისტრომ გაკარგულება გასცა, ერთბაშად გადადითო. კოლექტივის აზრით კი, ასეთი განკარგულება კარგს არაფერს მოგვიტანს. უმჯობესია ეტაპობრივად გადავიდეთ, ამ პროცესში მარაგი შევაქმნათ და შემდეგ მოვახდენოთ მექანიზმების დემონტაჟი. ამას ხსარს უშერენ დირექცია და პარტიური. შემუშავებულია პროგრამა, ნავარაუდევია გეგმას არ ჩამოვრჩეთ.

ამ ფაქტებით იმის თქმა მინდა, რომ კარგია, როცა მთელმა კოლექტივმა იცის, რას და როგორ ვაკეთებთ. როცა მთელი კოლექტივი ირაზმება ამოცანის გადასაწყვეტად, შედეგიც კარგია.

ა. დარსალია,

პაოლოს გეთსიაშვილი ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



ჩვენი საზოგადოება მთელი საქართველოა!

ათასცხრაასოთხმოცდაჩვიდმეტ წლის მარტის ცხრამეტი ნეშმარიტად ისტორიული თარიღია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. აღსრულდა ჩვენი დიდი ხნის ოცნება, დაარსდა „რუსთაველის საზოგადოება".

ტკბილი და მოვალეობა, რომელიც მე დამეკისრა რუსთაველის საზოგადოებაში, რაოდენ მძიმე და სპასუხისმგებლიც არ უნდა იყოს, მით უფრო ჩემს ასაკში, ჩემთვის იმდენად საამაყო და მამშიდველია, რომ დამეკვალთებით მგონია, იგი ერთხელ კიდევ გამოიწვევს ჩემს სულში ახალ ძალასა და ენერგიას, ვიდრე თქვენნი ნდობისა და მთელი ჩვენი საზოგადოების, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე მოვალეობის ერთგულად მოხდის ღირსეულ დონესა და სიმაღლეზე.

უზომოდ დიდი მიჯდა საქართველოში ინტერესი „რუსთაველის საზოგადოებამ" მიმართ. ამის კარგი დასტურია მთელ რესპუბლიკაში გავრცელებული უსაზღვრო მრავალი აზრი და შეხედულება ამ საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე, მის დანიშნულებასა და მოვალეობაზე, მის ძალასა და უფლებამოსილებაზე. ამ შეუხებელებ ინტერესზე ბევრი რამ თქვა ამ ბოლო ხანებში ჩვენმა პრესამ და რადიომ, ჩვენმა ტელევიზიამ, განსაკუთრებით გაზეთმა „კომუნისტმ".

რესპუბლიკის საზოგადოებრიობა მეტად ბევრს მოითხოვს ამ ახალი ორგანიზაციისაგან და მოითხოვს სამართლიანადაც და საფუძვლიანადაც, პირველ ყოვლისა თუნდაც იმას, რომ მან ვალმართლოს თავისი უმაღლესი სახელწოდება; მოითხოვს, ყველა სხვა ჩვენში დღემდე არსებულ საზოგადოებათან შედარებით, უფრო მეტად გრძნობდეს იგი თავს ვალდებულად ჩვენი ხალხის წინაშე, უფლებამოსილად ჩვენი ქვეყნის სამსახურში. ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს; მან, მართლაც თავისი სიტყვა უნდა თქვას, როგორც ეს მის წესდებაში წერია, ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში, მით უფრო დღეს, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ეპოქაში; ჩაიხედოს ჩვენს სოციალურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ პრობლემებში, როგორც მრავალწახნაგოვანმა, მასშტაბურმა, მრავალრიცხოვანმა ორგანიზაციამ, რომელსაც სავსებით გარკვეული აქვს თავისი ამოცანები, უფლებამოვალეობანი და პროგრამატები; მაგრამ მისი ძირითადი, უპირველესი საქმე იქნება, ქართული კულტურის, ქართული ენის და ლიტერატურის, რუსთაველის მემკვიდრეობის, საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა კულტურის პოპულარიზაციის, უცხოეთის მიწასა და არქივებში ქართული კულტურის უძველეს ძეგლთა, ქართველ მოღვაწეთა ნაფეხურების ძიება და კვლევა;

ჭეშმარიტად ბედნიერებაა ამ საშვილიშვილო საქმეთა სამსახური.

ქვეყნის დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ეპოქაში მინდა ისიც ვთქვა, რომ „რუსთაველის საზოგადოება" დღეს მართლაც ყოველმხრივ სჭირდება ჩვენს ხალხს, ჩვენს რესპუბლიკას, და ამასთან დაკავშირებით გავიხსენო ამ ოცდათიოდე წლის წინანდელი სიტუაციაც, პირველნაბეს კულტის გამომეტლაების პერიოდში, როცა ჩვენგან დრომ მოითხოვა, ასევე მიგვეგმართა, მთელ ჩვენს პლატეტზე პუშაინიზმისა და კაცთმოყვარეობის ერთ-ერთი უბრალესი მომლერლის, ადრიანი რენესანსის აღმოსავლეთი წარმომადგენლის, ქართველი ერის დიდი წინაპრისთვის და მთელი მსოფლიოს გასაკვირად და დასანანად ვადაგვეხადა მისი 800 წლოვანი იუბილეე. ეს იუბილე, რომელიც მართლაც მთელმა პროგრესულმა მსოფლიომ მიიღო მონაწილეობა, იყო სწორედ პუშაინიზმის იუბილე რუსთაველის სამშობლოში.

რუსთაველი — პუშაინიზმია — მოიწერა მაშინ თავის მოსალმებაში მშვიდობის მსოფლიო საბჭომ.

...და ერთსელ კიდევ გავიხსენოთ ჩვენი დიდი წინაპრის უკვდავი ქმნილების რუსულ ენაზე პირველი მთარგმნელის სიტყვები: „როგორც პომეროსი არის ელადა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, რუსთველი საქართველოო"...

ჩვენი საზოგადოება რუსთველის სახელობისაა...

ჩვენი საზოგადოება მთელი საქართველოა!

ირაკლი აბაშიძე,

რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი.

გაიხსნა რუსთაველის საზოგადოების

ფონდის ანგარიში

რუსთაველის საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ საზოგადოების ფონდისთვის გახსნილია ანგარიში სსრ კავშირის საბინაო-სოციალური ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველოში — № 000700914.

სამოწყალო რა გვჭირს

„თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს მდიდარი შრომითი ტრადიციების მქონე კოლექტივი ყოველ. ბევრი რამ კარგი და სასიკეთოა მის ანგარიშზე, მაგრამ ამ ბოლო ხანს მან დათმო მოპოვებული პოზიციები.

ამაში უწინარესად ჩვენვე ვართ დამნაშავენი, რაღაცნაირად მოვაშვით და მოვდუნეთ. მაგრამ ავი ამასაც აღვნიშნავ, რომ ზემდგომმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმაც მოადუნეს ყურადღება ჩვენ მიმართ. და ეს მაშინ, როცა პრობლემები ძალზე ბევრი გვაქვს. ისიც საწყენია, რომ ჩვენ მიერ სხვადასხვა ზემდგომ ორგანოში დასმული პრობლემები სათანადო რეგირებას ვერ პოულობს. ზოგჯერ კუთრობიც ხდება — ჩვენს ხელმძღვანელობასეე ავალებენ იმ საკითხების გადაწყვეტას, რომლისაც, რაკი ადგილზე ვერ ვწყვეტთ, ზემდგომ ორგანოებში ვაყენებთ. ამაზე მეტი ფორმალიზმი გაგონილა?

ცარიელი სიტყვების რახარუხი რომ არ გამომვიდეს, შევეხები რამდენიმე კონკრეტულ საკითხს, რომლებიც სხვადასხვა დროს თიქმის ყველა დონის შეკრებაზე დაგვიყენებია, მაგრამ შედეგი ისევ არ ჩანს.

ჩვენი კოლექტივი ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო: ვიღებულობდით აკტმანქანებს, ავეკს, დეფიციტურ, იმპორტულ სამრეწველო საქონელს. ისინი ჩვენთან პირდაპირ სამუშაო უბნებზე შეიტანდნენ. ეს ხალისს, რწმენას, გვმატებდა, შრომითს ენთუზიაზმს გვიზრდიდა. დიდი სურვილი მაქვს, სწორად გამიგოთ: მე საკითხს ვაჭრული გაგებით კი არ ვაყენებ, არამედ აღვნიშნავ ჩვენი კოლექტივისადმი ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ტრადიციულ ყურადღებას, რომელიც ყურადღებას ყურადღებითვე უასუხებდა. ამ ბოლო დროს კი ეს ყურადღება შესუსტდა.

ჩვენი რკინანტენის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი დაარსების წლიდან აყენებს მისასვლელი გზის კეთილმოწყობის საკითხს. მისი გადაწყვეტა თვითონ ქარხანას ან სამმართველოს არ შეუძლია. არადა, რაც ბოლო წლებია მანძილზე ამ დანაგური გზის „წყალობით" ავტოტრანსპორტი დაზიანდა და მუშურიდან გამოვიდა, მარტო ის თანხა ორჯერ კეთილმოწყობდა მას.

კიდევ ერთი, ძალზე მტკივნეული საკითხი — საბინაო პრობლემა. ჩვენთან ბინის მიღების აღრიცხვაზე 1000-მდე ოჯახია, წლების მანძილზე ზემდგომი ორგანოების წინაშე ვაყენებთ საკითხს ბინათმშენებლობის გაფართოების შესახებ. თუ ეს შეუძლებელია, კოოპერაციული ბინათმშენებლობის გაფართოებას რაღა უდგას წინ? ვერც ამაში მივიღეთ საქმიანი პასუხი. არადა, ამ მხრივ ბევრი საკამათო და საეჭვმანო თითქოს არაფერია. სკკპ XXVII ყრილობაზე ხომ ხაზგასმით აღინიშნა კოოპერაციული ბინათმშენებლობის გაფართოების აუცილებლობა.

ასევე არ შეიძლება გული არ გვატკენოს ჩვენი საორტოლგამაჯანსაღებელი კომპლექსის უძოქმედობამ. ჩვენი ძალებით გავაკეთეთ იმაზე მეტიც, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. და თუ ობიექტურად შეავფასებთ მაშინდელ ჩვენს საქმიანობას, ვმუშაობდით არა იმიტომ, რომ მატერიალურად ვიყავით დაინტერესებული, არამედ იმიტომ, რომ პარტიულმა კომიტეტმა ავალეყოლია, გაკეთრის გაკეთებაც შეეძლო. მერე კი

ჩრდილოეთ

კომეშენსტ

რისთვის გვესწრებიან კრებაზე?..

ჩვენს დეპოში ამ ბოლო ხანს ბევრი კარგი რამ გაკეთდა, — დაინერგა ბრიგადული იჯარა, ორცვლიანი მუშაობა და სხვა, მაგრამ გასაკვირებელია ბევრია. ძალიან მოძველდა პარკი, რომლის შეკეთება თითქმის შეუძლებელია, ტანსაც კი იმდენად გაცვდა, რომ შედუღებაც არ შეიძლება. თუ პარკი მთლიანად არ შეიცვალა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. ამ საქმეში გვჭირდება პარტიული ორგანოების სასწრაფო დახმარება.

ახლა ერთ, ჩემთვის და ანა მარტო ჩემთვის, მტკივნეულ საკითხზე უნდა შეეჩერდე. სალოკომოტივო დეპოს პარტიული ორგანიზაციია თითქმის ყოველთვიურად მართავს კრებებს, რომლებზეც პარტიის სოხუთის საქალაქო კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლებიც გვესწრებიან. კრებების მონაწილენი უგზომობის, უწყალობის, უსინათლობისა და სხვა პრობლემების გამო გულისტკივილ გამოთქვამენ. ვერ გიტყვი, თითქოს მათი გამოსწორებისათვის სრულიად არაფერი გაკეთებულიყოს, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია.

თანაც, მარტო კრებებზე ლაპარაკით კი არ შემოვფარგლულვართ: მთის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსულ ხელმძღვანელ მუშაკებს მუშებმა უშუალოდ ადგილზეც უჩვენეს, თუ როიდენ ცუდი პირობებია რკინგზის დასახლებაში, ნოზაძის ქუჩაზე, რომელზეც გაცვა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ შეცვლილ ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარმომადგენლებიც გვესწრებიან. ეს მეტია, ეს ბევრია, ეს ბევრ ვაჯარებს, მაგრამ საქმისადმი ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკის ამგვარი მიდგომა გარდაქმნის ლაკმის ტოლფასია. ეს მართლაც ასეა, რადგან ტყეული არასოდეს ბგმოდგომია ენმეს საიმედო მოკავშირედ. საკითხა უფრო გაბედული და კონკრეტული მოქმედება. ხალხი არ უნდა მოვატყუოთ, უნდა ვთქვათ ის, რის გაკეთებაც შეგვიძლია. უმჯობესია ნაკლები დაპირებები და მეტის გაკეთება. გაკეთებულს კი ხალხი უთქმელადაც მეხშენაბავს. მშრომელებთან გულახდილი უნდა ვიყოთ. დაუფარავად უნდა ვუთხრათ, რა გვიჭირს და გველხის, მაშინ ისინიც უთუოდ დაგვეჭვერენ მხარს.

გ. მიქაძე,

სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.

ᲛᲔᲣᲐᲗᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ, ᲝᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲗᲐᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ — ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ. ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲘᲜᲚᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲛᲝᲜᲐᲗᲐᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲗᲘ ᲠᲝᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲔᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲠ ᲛᲣᲨᲝᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲡᲔᲕ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲭᲠᲘᲐᲜ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲐᲓᲐ. ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲔᲠᲔ

გარდაქმნას

მერ შეაჩერეს!

(საკადესის კომენტარი)

საბჭოთა ადამიანებმა მთელი არსებით აღიქვეს გარდაქმნის იდეები და მზარს უმეტეს მას პრაქტიკული საქმეებით. ჩვენი დიდი საბჭოთის მრავალეროვან და ერთიან ოჯახში მოძმე ხალხების მხარდმხარ აქტიურად არიან ჩაბმული სოციალისტური განახლების ფერხულში საბჭოთა სომხეთის კომუნისტები, მშრომელები. მაგრამ არიან ძალები, არიან ცალკეული ადამიანები, რომლებთვისაც გარდაქმნა მათი ამბიციებისა და უპასუხისმგებლო პრეტენზიების მსხვრევას მოასწავებს. ისინი მზად არიან ენინეკურად და მზაკვრულად ისარგებლონ გარდაქმნის სინინეკებით, გამოიყენონ პროფკავშირული საწყალელი მისაღწევად ადამიანთა გრძნობები, რათა უკან დაიბეჭონ საზოგადოებას.

სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოაწყვეს 19 მარტს თავყრილობა ერევანში, რომელსაც „ყარაბაღის კომიტეტის“ სხდომა უწოდეს. სხდომის იმ დამსწრეებს, ვინც კეთილგონიერებაა და სამშვიდობისკენ მოუწოდებდა, ხმას აძლევდნენ. და დარბაზიდან აქებებდნენ. ვინმე ი. მურადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. შავლიაშვილი: იქ მეგობრობა ვიხწავლეთ ხხვაგვარი.

ა. გორგაძე: ის წლები ცხოვრების დიდ სკოლად გვექცა.

ზ. ბერიძე: ყველა შეღავათი უპირველესად დილუპულთა ოჯახებს უნდა ჰქონდეთ.



შ. მუფტიევი: იქ ძმებივით ვეცხოვრობდით ჯარისკაცები.

თ. მამარდაშვილი: იციათ რა არის, პირველ-ულად კაცს რომ დაუშიზნებ?..

რ. გელაშვილი: ჩვენ მხოლოდ ჩვენთვის დადგენილ შეღავათს ვითხოვთ.

ნაწრთობნი ბრძოლის ველზე

ალაბიანი ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას, თითქოსდა, აწყენიერის ანიჭებს. ან წარსულით ცხოვრობს ან მომავლით. მთელი ცხოვრება „გუშინის“ და „ხვალის“ გამუდმებული ჭიდაობა. თანაც სიბერეში ერთი დროდა რჩება მას — წარსული და მომავალი მზერაც განვლილ ტანდ-მწარე ცხოვრებაზია ჩაკარგული. ახალგაზრდობაშიც ერთი დროა, ოღონდ ეს დრო მომავალია. თითის წვერებზე შემდგართ, მამლაყინწებივით კისერწგაძიდლებულებს, ყველას საკუთარ მომავალში ხურს წინასწარ გადაჭყეტა. უკან ბავშვობა დარჩა, მოკვარი კი ის არის — მომავალი. ამ ბიჭებს კი წარსული უკვე აქვთ, ჭაბუკობაშიც მოახწრეს მისი შეკმნა.

„რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენს მეომრებს ავღანეთში, ისინი პირნათლად ასრულებდნენ და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, იბრძნენ თავდადებულ. და გმირობას“, — სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ავღანეთის თაობაზე ნათქვამი ეს სიტყვები, აი, იმ წარსულის ზასტატ-ბური შეფასებაა.

**„ჯარი ცხოვრების მაკები ყოფილა. მე ამას აქ მივხედი, დედ. ახე მგონია, ერთი ცხოვრება უკვე გავიარე-მეოქე. ისიც მეჩვენება, თითქოს აქ გაგატარებული წლები მომავალში ცხოვრების გზაზე სიარულს გამიადვილებს“, — სწერს ბიჭი დედას. მაგრამ ეს ბიჭი ავღანეთში არ არის, აქ, საკუთარ სამშობლოში იხდის თავის ვალს, მშვიდობიანის ქვეშ, სიმშვიდ, მძლავრ მფარველ გრილოს შეფარებული, და მაინც... „ახე მგონია ერთი ცხოვრება უკვე გავიარე“. იქ კი, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეიძლება ფეხქვეშ ნაღმი ჰაიფეთქდეს, სადაც ყოველ წუთს მოსალოდნელია შეიარაღებული შეტაკება, სადაც სიკვდილ-სიცოცხლე ასე ახლოს არის ერთმანეთთან... ხომ არ არის ეს ყოველი მეტისმეტად ძნიშ გამოცდა ამ ახალთაგან? ამ კითხვას მე თავად დაუფიქრებლად (ყველა დედის სახელით) დადებთად ვუპასუხებდი. ისინი კი სხვა აზრისანი არიან — ჩემი დღევანდელი სტუმრები. სარედაქციო მრგვალ მაგიდას დღეს ის ახალგაზრდები უსხედან, რომლებმაც სავალდებულო სამხედრო სამსახური ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოიხადეს. აი ისინიც: ნიკოლოზ შავლიაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის პროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი; ნიკოლოზ ბერიანინაძე — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების სტუდენტი; რაზო გელაშვილი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალ-ელექტრიკოსი, ახალგაზრდა ინტერნაციონალისტთა რუსთავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; გელა გაბათაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი; თეიმურ ლილაშვილი — ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის მუშა; ზურაბ ბერიძე — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; ილია დიასამიძე — ბათუმის „შუქურის“ უროსი ტექნიკოსი; გურამ გოძიაშვილი — თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ ამწყობი; თეიმურ მაჰარდაშვილი — ამავე საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი, დათო ლაზაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი; მალხაზ ლომძიძე — ამავე ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი; ზერაბ ბრიგოლი — სოხუმის სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი; ენვ

უცხოეთში

საკვლევი იუწყება
21 მარტი

მ. შემპარდნაძე შაინგტონში ჩავიდა

ვაშინგტონი. 20 მარტს ვაშინგტონში ჩამოვიდა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე. ეხლიდან ავიაბაზაზე ე. ა. შევარდნაძეს დახვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალური პირნი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. ვ. დუბინინი, საბჭოთა საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, გაზეთებიდ, რადიოს, ტელევიზიის კორესპონდენტები.

ამერიკის დელეგაციაში ყოფნის დროს ე. ა. შევარდნაძეს შეხვდება და მოლაპარაკებას გაართვამს სახელმწიფო მდივან ჯ. შულცთან. გაიმართება შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. რეიგანთან.

● აშშ

ჯ. შულცის განცხადება

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა განაცხადა, რომ შესაძლებელია დამთავრდეს სტრატეგიული შეტანვითი შეიარაღების შემცირების შესახებ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შემოშვებება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა მომავალი უმაღლესი დონის შეხვედრისთვის.

როცა გამოდიოდა ენ-ბი-სი ტელევიზიასთან ახალი ამბების საკვირაო პროგრამით „შეხვედრა პრესასთან“, შულცმა განაცხადა: მიმაჩნია, რომ ეს შესაძლებელია... ვფიქრობ, რომ საჭირო იქნება დამაბული მუშაობა და, თუმცა, რა თქმა უნდა, ნაადრეცია ითქვას, რომ წარმატება უზრუველყოფილია, მაგრამ ეს შესაძლებელია. მაგრამ არ ვცდილობთ შეთანხმება მოვაშზადოთ თვით შეთანხმების გულისთვის“.

ჯარების გაგზავნა გრძელდება

ვაშინგტონი. ამერიკის ჯარების გადაგზავნა ჰონდურასში გრძელდება, თქვა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ფრენკ კარლუჩიმ. როგორც მან განაცხადა, დღეისათვის იქ ჩაყენებულია 300 ამერიკელი ავიამედესანტე. 700 მედესანტე გზაშია. სულ ჰონდურასში გადაყვანენ 3126 მედესანტეს, აღნიშნა ფ. კარლუჩიმ. არსებული გეგმების თანახმად, თქვა მან, ამერიკის ნაწილებს „ფრთონა“ ამ კვეყანაში დაახლოებით 10 დღეს გაგრძელდება. პენტაგონის შეფმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებს ჩაებას საბრძოლო მოქმედებაში ნიკარაგუის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

● კორეა

თავდაცვითი აქტი

ფხენიანი. კორეის სახალხო არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა უბრძანა არმიას, ავიაციასა და ფლოტს, სახალხო დაცვის ჯარებს, მეშურ-გლეხური სახალხო ლაშქრისა და ახალგაზრდა გვარდიის ყველა ქვეგანყოფილებს იყვნენ „სრულ საბრძოლო სამობილიზაციო მზადყოფნაში“ იმასთან დაკავშირებით, რომ „უადრესად საშიში ვახდა ვითარება, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის უგუნური პროვოკაციული მოქმედების შედეგად“, ნათქვამია კორეის ცენტრალურ დაკვირვებათა სააგენტოს მიერ იქ გავრცელებულ კორეის სახალხო არმიის უმაღლესი მთავარსარდლის საინფორმაციო ცნობაში.

ეს თავდაცვითი აქტი განხორციელდა იმის გამო, რომ ამჟამად მიმდინარე ამერიკა-სამხრეთ კორეის ერთობლივ „ტიმ სპირიტ-86“-ს საზღვრო მანევრების დროს კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილი და მის მიმდებარე რაიონებში თავს უყრიან ამერიკელთა ჯარებს, თვითმფრინავებსა და საბრძოლო ხომალდებს, რომლებიც აღჭურვილია ბირთვული იარაღით.

● არგენტინა

ექვსეულის შეხვედრა

ბუენოს-აირესი. არგენტინის დედაქალაქში დაიწყო ექვსეულის ჯგუფის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პირად წარმომადგენლთა სამუშაო შეხვედრა. ამ ჯგუფში შედიან არგენტინა, ინდოეთი, მექსიკა, საბერძნეთი, ტანზანია და შვედეთი. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ამ შეხვედრის დღის წესრიგშია ბირთვული განიარაღებისადმი კონტროლის სისტემის შექმნის შესახებ წინადადებათა მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

ტელეტაიპის ლენტიდან

● სან-ფრანცისკო. ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროზე „ვასული შაბათი აღინიშნა ამერიკის მუშათა კლასის მანიფესტაციით, რომელიც უდიდესი იყო უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. მშრომელებმა მტკიცედ მოითხოვეს შეწყდეს მონოპოლიათა შეტევა მათ საარსებო უფლებებზე.

● მადრიდი. მთავარი პრემია „ბერკულესი“ მიენიჭა მალაგაში (სპანეთი) კინოს ტრადიციულ მეთექვსმეტე საერთაშორისო კვირეულში ნაბეჭოა სრულმეტრაჟიან ფილმს „უბრალო ადამიანი“, რომელიც გადაიღო რეჟისორმა ალექსანდრე კაიდანოვსკიმ. ეს ფილმი ერთსულოვნად აღიარეს ფესტივალის საუკეთესო კინოსურათად.

● ლისაბონი. სან-ტომეს და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ძალებმა დაიპატიმრეს აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე ამ პატარა კუნძულოვან სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის კიდევ ორი მონაწილე. თავდასხმა 8 მარტს ღამით განახორციელეს უცხოელ დაქირავებულთა და მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტთა ბანდამ.

ფოტოფაქტი

რასიზმი ავსტრალიაში

ეს სურათი გადაღებულია 1902 წელს ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროზე. მასზე აღბეჭდილია ბორკილდადებული ავსტრალიელი აბორიგენები, რომლებიც ინგლისელებმა დაიპატიმრეს „ბრიტანეთის გვირგვინისადმი დაუმორჩილებლობისთვის“.

როგორც ფაქტები მოწმობს, „მეხუთე კონტინენტის“ ნამდვილ ბატონ-პატრონთა ცხოვრებაში მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. მაგალითად, ავსტრალიის 200 წლისთავის შეიმაზედ რამდენიმე დღით ადრე, ქვეყანას მოედო ავსტრალიის ციხეებსა და საპოლიციო უბნებში დაპატიმრებულ აბორიგენთა შორის მრავალრიცხოვანი თვითმკვლელობის შემძარწუნებელი ამბავი. მათი მიზეზია ბედკრულთა სასოწარკვეთა, რომლებმაც ვერ გაუძლეს პატიმრობის არაადამიანურ პირობებს და ციხის ზედამხედველთა სადისტურ მოპყრობას. უფრო მეტიც. არის ექვი, რომ ზოგიერი აბორიგენებს ფიზიკურად სპობენ მედიცინეები, რომლებიც ცინიკურად აცხადებენ, „პატიმარ-აბორიგენებთან ურთიერთობას ისე ვერ ვამყარებო, როგორც თეთრკანიანებთანო“.

ციხეებში აბორიგენებისადმი სასტიკი მოპყრობის და თვითნებობის გამოშზეურებულება ფაქტებმა აიძულეს ქვეყნის ლეგიზორისტული მთავრობა მიეცა მოითხოვა ადამიანის უფლებათა კომისიისათვის იურიდიულად გამოძიების აბორიგენთა მდგომარეობა სისხლის სამართლის სისტემაში, მათ შორის მათი დამოკიდებულება პოლიციასთან. კომისიის მაგიდაზე დადება 120-ზე მეტი საქმე, რომლებიც პატიმრობაში მყოფ ქვეყნის მკვიდრთა მიმართ რასიზმის სასტიკ გამოვლინებას ეხება.

● ნიკარაგუა

ინყებენ დიალოგს

მანაგუა. დღეს ნიკარაგუის მთავრობა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები იწყებენ ოპოზიციის მიერ ცალმხრივი წესით შეწყვეტილ ეროვნული დიალოგის ახალ რაუნდს. მთავრობის მრავალჯერის მოწოდება მიუხედავად, პარტიები და პოლიტიკური დაჯგუფებები დიალოგის განახლების პირობად აყენებდნენ იმას, რომ რესპუბლიკის მთავრობამ შეასრულოს მთელი რიგი პირობები. ნიკარაგუის პრეზიდენტთან დანიელ ორტეგასთან გამართული ორდღიანი მოლაპარაკების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ დაიწყონ მოლაპარაკება რაიმე წინასწარი პირობისა და კონკრეტული დღის წესრიგის დაუთქმელად. შეხვედრებზე განიხილეს მწვავე პოლიტიკური პრობლემები, კვეყნის სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა, გაჯანსაღებული ეკონომიკური კრიზისი.

● სალვადორი

მასობრივი ბოიკოტი

სან-სალვადორი. გასულ კვირას სალვადორში გამართულ საკონსტიტუციო კრებისა (პარლამენტი) და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ეგრეთ წოდებულ „არჩევნებს“ მოსახლეობამ მასობრივი ბოიკოტი გამოუცხადა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ „ეკლესიურის“ პირველ საათებში საარჩევნო უბნები საერთოდ დაცარიელებული იყო. მხოლოდ დღის მეორე ნახევარში შეიძლებოდა ვეკვანის იქ ცალკეული პირები. „ეკლესიურის“ შედეგები ცნობილი გახდება მხოლოდ მომავალ სამშაბათს. მაგრამ მეთვალყურეთა წინასწარი შეფასებით, პარლამენტის 60 დეპუტატისა და 262 ალკალდის „არჩევნებში“ მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე მილიონნახევარი სალვადორელებიდან ნახევარზე ნაკლები.

შ ე მ ო თ ხ ვ ე ვ ა

სახიფათო ინციდენტი

ვაშინგტონი. ზიდსისა და ბეპატიკის ვირუსით მოწამლული დონორის სისხლი გასულ თვეში შეიცდომით გაუგზავნეს ამერიკის წითელი ჯვრის დედაქალაქის კოლუმბიის ოლქის და ნაშვილის (ტენესის შტატი) განყოფილებებს ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე მოსახიტალს. ამას იუწყება გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“. სამოლოო ანგარიშით, მოწამლულსისლიანი 24 ნაჭვეარტერიანი პლასტიკატის პაკეტი გაგზავნეს 8 სხვადასხვა ჰოსპიტალს. ზიდსისა და ჰეპატიტის ვირუსის შემცველობა აღმოაჩინეს ამ პაკეტის ერთ-ერთის სისლის შემოწმების დროს სურსათისა და მედიკამენტების ხარისხის საკითხთა სამმართველოს ინსპექტორებმა. „ამ შემთხვევაში ბედმა გაგვიღიმა, — განაცხადა სამმართველოს წარმომადგენელმა ფრენკ ინაგმა, — ამ პარტიის სისხლი არ გამოუყენებიათო“. მან განაცხადა, რომ ამჟამად დაწყებულია ინციდენტის გამოძიება და წითელი ჯვრის ეროვნული განყოფილების ორი თანამშრომელი განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ᲬᲔᲡᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ მოხდა გულრიფშში, ნაქურდალი აღმოაჩინეს მეზობლად, ცხაკაიში, ხოლო ძაფი, რომელიც დაეხმართა საქმის გახსნაში, იპოვეს... მოსკოვში.. დიდ ქალაქში, — როგორც ამბობენ, იოლია მიიმალო, მაგრამ თვალში მოხვედრაც არ არის ძნელი, თუ სიტუაციას გაფფული თვალი აკონტროლებს. სწორედ ამან შეიწყო ხელი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-სამძებრო განყოფილების მუშაკებს გაეხსნათ დანაშაული. ეს განყოფილება აკორდინირებს თავის მუშაობას მოსკოვის სისხლის სამართლის სამეძებროსთან.

ყველაფერი დაიწყო ბანალური შემთხვევითობით: მხეფფელების არეში მოხვდა ტყვარზელიდან ჩამოსული ქალი, რომელიც ოჭრის ძეწკვის გაყიდვას ცდილობდა. ეს დედაქალაქისათვის ვასავითანი საკონელი არ არის, და ამიტომაც მოითხოვდა იგი საქმეზე ადნიშნულ ფასზე ნაკლებს. სპეკულაციის ფაქტი არ იყო, მაგრამ დაიბადა ეჭვი.

ქართველი კოლეგების თბოვნით ქალი ბაბუშვილის რაიონის მილიციის განყოფილებაში მიიწვიეს. მას თავი მშვიდად ეჭირა, დალაგებით ლაპარაკობდა, სურდა თანაგრძნობით განეწყო ირგვლივ მყოფნი.

— ფული შემომეზარა მოსკოვში. ძეწკვი კი ჯერ კიდევ ზაფხულში ვიყიდე გულრიფშში. იქ საკადაფყოფოში ვმკურნალობდი...

მაიორი ავთანდილ ბესელია, რომელიც მეზობელი კაბინეტიდან უსმენდა საუბარს, ისე დაიძახა, რომ ადგილი ვეღარ გაჩერდა, წამოდგა: სწორედ გულრიფშში გამარკვევს საიუველირო მაღაზია. იგი იქვე დუკაგშირდა ტელეფონით ადგილობრივ მოლიციას, ვარაუდი შეამოწმეს. სწორედ ასეკ ძეწკვი იმ პარტიის საკონლოდან არის. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

ნელ-ნელა ამოსწიეს სამართალდარღვევათა მთელი ჯაჭვი: ფოთეს ორი მოსკოველი, რომლებმაც თავის მხრივ ქალს მოპპარეს ძეკრფასეულობა, ცხაკაიელი, ძეკრფასეულობის ნაწილი შემთხვევით თითქმის ჩალის ფასად რომ შეიძინა. საწყინოდოს დაუბრუნეს 20. ათასი მანეთის ნაწილი. ეს ჯერ ყველაფერი როდია, გამოძიება გრძელდება...

— მოსკოვი მუშაობა ძალიან მოკრძალის გვაძლევალი, ფიროთოებს პროფელაქტიკის დიპაზონს, — ამბობს ა. ბესელია. — ახალი თვალსაზრისი აღმოჩენილ ანალიზს. ჩვენთვის სულ ერთი არ არის, რომ სამ თვეში მოსკოვშ

პროფილაქტიკის არითმეტიკა

რესპუბლიკის 24 მცხოვრებმა დარღვია სამართალი. დღეს პროფილაქტიკა არა მარტო ოპერატიულ, არამედ მოქნილ ტაქტიკასაც მოითხოვს.

— მჭიდრო თანამოქმედება დაწესებულების, სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო მოთხოვნაა, — თქვა მოსკოვის სისხლის სამართლის სამეძებროს უფროსის მოადგილემ ვიქტორ ფიოდოროვმა. — 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობის დღეებში დედაქალაქში მხარდამჭერ მუშაობდნენ ყველა რესპუბლიკიდან, მრავალი ოლქიდან ჩამოსული ჩვენი კოლეგები. მაშინ საქართველოს წარმომადგენელებმა საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ოპერატიულ მუშაობაში. პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ ხანგრძლივ თანამშრომლობის თვისებრივ ნიშნებია ეს.

ეს, ალბათ სწორი იქნებოდა საუბარი დაგვეწყო იმით, თუ რა არის განწყობის თეორიის არსი და რით შეიძლება დაგვეხმაროს იგი ჩვენი საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე, როცა განსაკუთრებით იზრდება ადამიანის უფროსობის მნიშვნელობა ცხოვრების ყველა სფეროს რეკოოლუციური განახლებისა და გარდაქმნის პროცესში?

— ამ თეორიაში საკვანძო მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ კანონს, რომლის მიხედვითაც ყოველ ფსიქიკურ აქტიურობას ინდივიდი, ადამიანი ახორციელებს და იგი თვითონ არის პასუხისმგებელი ყოველი ფსიქიკური მოქმედებისათვის, რომელიც ცნობიერ ან არაცნობიერ დონეზე მიმდინარეობს. განწყობის თეორიამ ფსიქოლოგია ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებად აქცია და, ბუნებრივია, რომ ახლა, როცა პარტიამ ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის გზების დასახვის დროს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვითონ ადამიანის გარდაქმნა მიიჩნია, მისი განხორციელება ადამიანზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა გამოუყენებლად შეუძლებელია. მაგალითად, ადამიანისათვის იმის ახსნა, რომ შეერთამეობა, პროტექციონიზმი და სხვა მავნე სოციალური ქცევები მიუღებელი და დასაგმობია, სრულიადაც არ კმარა იმისათვის, რომ პიროვნებამ არ ჩაიდინოს ამორალური საქციელი, მას უნდა გამოუუმუშაოთ უარყოფითი დამოკიდებულება, განწყობა ასეთი ქცევის მიმართ.

განწყობის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი სპეციფიკური მონაპოვარი ის არის, რომ ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობის სტილი, მიმართულება განსაზღვრულია არა იმდენად ცოდნით და განათლებით, რამდენად მისი დამოკიდებულებითა და განწყობით ცხოვრების ძირითადი ღირებულებების მიმართ. ცოდნის მიღება და მის მიმართ მაღალი დონეთა განწყობის შემოშვებება ერთმანეთისაგან განსხვავებული ფსიქიკური პროცესებია. ცოდნის მიღებისათვის ადამიანმა ახალი ინფორმაცია აზრთანად უნდა დაუკავშიროს თავისი ცოდნის სისტემას, ხოლო სინამდვილისადმი დამოკიდებულების ფორმირება სულ სხვა ფსიქიკურ პროცესებს უკავშირდება. სინამდვილისადმი დადებითი განწყობა ადამიანს მაშინ უმეშვადება, როდესაც იგი ადამიანის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ეხმარება მიზნის მიღწევაში და ამოცანების გადაწყვეტაში, თუ არა და, ადამიანებს უარყოფითი განწყობები ექმნებიან.

● როგორც ცნობილია, სინამდვილისადმი დადებითი ან უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბება ასაკობრივ კატეგორიებსაც ეკუთვნებიან.

— რასაკვირველია, ასეა. ჯერ კიდევ სკოლაში მისვლამდე, ოჯახში და სამეგობრო ბაღში უყალიბებათ ეს განწყობა ბავშვებს სინამდვილისადმი თავის თავისა და თავისი საქმიანობის მიმართ. თუ ეს პერიოდი ბავშვს ხელსაყრელი ექნება, მას შეექმნება ნდობის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, გახდება ავტონომიური და ინიციატიანი. ისე კი, მას უჩნდება სინამდვილისადმი უნდობლობის გრძნობა, ხდება მორცხვი, აკლია დამოუკიდებლობა. შემდეგ ეს პიროვნული ნიშნები, თვისებები, ჩვეულებრივ, მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება.

სასკოლო პერიოდში, სკოლამ, მშობლებმა და საზოგადოებამ ბავშვს უმთავრესად ორი ფუნდამენტური პიროვნული თვისება უნდა ჩაუნერგოს. ესენია შრომისმოყვარეობა და პიროვნული იდენტიფიკაცია. ეს ნიშნავს ბავშვის მიერ თავისი თვის პიროვნებად განცდას, თავისი „მე“-ს ბოვნას, მის მიერ სეროიზულად მიჩნეული საკუთხების ერთიანი პიროვნული პრზნციიდან განხილვის უნარს.

● მახსოვს, იმ დღეს, როცა ოქვენ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად დაგნიშნეს, ჩვენი აკადემიის მაშინდელმა პრეზიდენტმა თავისებურად დაგმოძღვრათ: ამ ინსტიტუტს დმიტრი უზნაძის სურნელი დაჰკრავს და ეცადეთ, არ დაკარგოთ იგიო.

— ამ ტრადიციის შენარჩუნება ყველა ქართველი ფსიქოლოგის ვალია. დიმიტრი უზნაძე მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკოსია და სწორედ მისი დამსახურებაა უცხოელ სპეციალისტთა განსაკუთრებული დაინტერესება განწყობის ფსიქოლოგიის წარმომადგენლებთან ერთობლივი მუშაობით. უკვე კარგ ტრადიციად ვვიქცია ყოველ გაზაფხულის კანადელ და ყოველ შემოდგომაზე ამერიკელ ფსიქოლოგებთან ერთად სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა ჩვენს დედაქალაქში.

აი, ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენთან ჩამოვიდა ბუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი — 80 წლის კარლ როჯერსი. მხცოვანმა მეცნიერმა ჯგუფური თერაპიის რამდენიმე სეანსიც გამართა. ამ ჯგუფში მეც ვიყავი...

● რამდენადაც ვიცი, ამერიკაში დაბარუნებულმა როჯერსმა ჟურნალ „ბუმანისტურ ფსიქოლოგიაში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც საამოვნებით აღნიშნავს ამ ფაქტს, რომ „ჯგუფში დრეტორის მონაწილეობა ოდნავადაც არ ცვლიდა წევრთა ბუნებრივ ქცევას“.

— ვერაფერს გეტყვით. ყველაზე ობიექტური აზრი ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებს აქვთ. ისე კი, ეცდილობ, სამსახურში მუშაობის დემოკრატიულ სტილს მივყოფ და ყველა სერიოზული პრობლემა თანამშრომლებთან შეთანხმებით გადაწყვეტი. მართვის ავტოკრატიული ან ბიუროკრატიული სტილი მიუღებლად მიმაჩნია ნებისმიერ დაწესებულებაში.

● ბოლო ხანს ფსიქოლოგიები საკმაოდ ცხარედ კამათობენ ბიუროკრატიის ფენომენის მართვის პროცესთან დაკავშირებით. მკითხველებისთვის უფიუოდ, სპინტერესო იქნება თქვენი აზრი ამის თაობაზე.

— პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ბიუროკრატია მართვის სინონიმი კი არა, მისი განმსაზღვრელი სტილი და ფორმაა. მისი ტიპური მახასიათებელია ფორმალიზმი, მმართველობის მოწყვეტა მართვის ობიექტისაგან და მტკიცე შინაგანი იერარქია. ბიუროკრატიზმის გადალახვა აუცილებელი პირობაა არა მარტო პიროვნების მრავალმხრივი განვითარებისათვის, არამედ ადამიანური ინდივიდუალობის შენარჩუნებისთვისაც. ბიუროკრატიზმის ერობამად ალმოფხვრა შეუძლებელია. საჭიროა ბიუროკრატიის საწინააღმდეგო განწყობებისა და ტენდენციების დანერგვა. ასეთ უპირველეს საწინააღმდეგო ტენდენციად, სოციალურ-ფსიქოლოგიური მონაცემების მიხედვით, პროფესიონალიზმის პატივისცემა უნდა მივიჩნიოთ: თუ მაღალი პროფესიონალიზმი ადამიანს თავის გარემოში სასურველი მდგომარეობის მოპოვების საშუალებას მისცემს, პროფესიონალიზმის პრესტიჟი მკვეთრად გაიზრდება და იგი ფსიქოლოგიურ საფუძველს გამოაცლის ბიუროკრატიზმის რეციდივების გავიცელებას.

● რას გვეტყვით ისეთ სოციალურ სიტუაციებზე, რომლებიც ადამიანებს „კონფორმული ქცევისაკენ უბიძგებენ?

— მრავალი გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანის კონფორმულობა კორელაციაშია მისი შემეცნების, თვითშეფასების ანე ეგრეთ წოდებული „პრტენზიის დონესთან“ და სხვა ფსიქიკურ თავისებურებებთან. ამ მონაცემებით დადასტურებულია, რომ ადამიანები, რომლებიც შემოქმედებითის და მეცნიერულ მუშაობას ეწევიან, უფრო ნაკლებ კონფორმულ რეაქციებს იძლევიან და მეტი ტენდენციები აქვთ დამოუკიდებელი მოქმედებისაკენ. ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჯგუფი ძალას იძენს ინდივიდის მისადმი დადებითი დამოკიდებულების მეოხებით და თვითონ პიროვნების განწყობა ამ ჯგუფისადმი განაპირობებს ჯგუფის გავლენის დონესაც.

● ჩვენი საზოგადოებისთვის ახლა უკვე ცხადზე ცხადია, რომ ადამიანის ფაქტორის გონივრული გამოყენების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. რა კავშირი აქვთ ამ მხრივ „ფსიქოლოგიურ კლასებსა“ და შრომის ნაყოფიერებასან?

— საქმე ის არის, რომ ადამიანები იზოლირებული ინდივიდები კი არ არიან, ისინი ერთიანდებიან ჯგუფებად ფორმალური ან არაფორმალური გზით და ზემოქმედებენ ერთმანეთზე. ეს ზემოქმედება ეფექტურია, როცა „ლაპარაკობთ ამბავსაც ყარგ ან ცუდ გავლენაზე მეორის მიმართ, ამით აშკარად ვაღიარებთ იმას, რომ ადამიანს კავშირი მეორესთან გავლენას ახდენს მის მოთხოვნილებებსა და ქცევაზე, რამაც, თავის მხრივ, არ შეიძლება არ იმოქმედოს ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანის, ფუნქციონირებაზე. „ჯგუფი“ არსებობს, თუ ადამიანებს უხდებიან ურთიერთობა რაიმე მიზნის მიღწევის პროცესში, და ჯგუფის განვითარების დონე რჩება იმ ძირითად კრიტერიუმად, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სოციალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატსა და შრომის ნაყოფიერებას შორის კავშირს. ფსიქოლოგიური კლიმატი უშუალო ზემოქმედებას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე და მის ეფექტიანობაზე. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა კოლეკტივის თითოეული წევრი ერთ მიზანს ესწრაფვის და ეს სწრაფვა ნებაყოფლობითია, შთაგონებულია იმის სრული შეგნებით, რომ კოლეკტივის წინაშე დასმული ამოცანები თითოეული მისი წევრის ღვიძილი საქმეა.

● და აი, ჩვენ ახლა თავისთავად მივედით ბოლო კითხვამდე: როგორია თქვენი დამოკიდებულება ქვეყნის ძირითადი სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით?

— ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები კარგა ხანია ჩართული არიან სახელშეკრულებო თემების შესრულებაში და განწყობის თეორიას პრაქტიკულად იყენებენ უშუალოდ შრომთან. ამ თემების კოლექტივებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ორი კოოპერატიული „ლაბირინთი“ და „კომპიუტერი“. თუ რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მათ, დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ მაგალითად ჩვენი პრესა...

● გმადლობთ, ბატონო შოთა, საუბრისათვის. ახალ წარმატებებს გისურვებთ თქვენც და ინსტიტუტის მთელ კოლექტივსაც.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲐᲡ—ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲓᲘᲗᲝᲓ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო საბჭომ დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია ერთხმად მიანიჭა პროფესორ შოთა ნადირაშვილს.

იყო ამაში რაღაც სიმბოლური და ამადლებულიც: — განწყობის თეორიის ფუძემდებლის სახელობის პირველი პრემია მის უკანასკნელ ახპირანტს, ამჟამად უკვე მოხავე სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს შ. ნადირაშვილს მიენიჭა ნაშრომისათვის „განწყობის ფსიქოლოგია“.

ჩვენი გაზეთის რედაქციის დავალებით ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალისტი გივი სამხარაძე შეხვდა და ესაუბრა შ. ნადირაშვილს:

ᲐᲚᲑᲐᲗ

— ალბათ ეს ბედნიერი მოვლენა, ალბათ ეს ბედნიერი ამბავი, ალბათ ეს ბედნიერი ამბავი... ეს ალბათ ... ეს ალბათ ... ეს ალბათ